# იმერეთი

ყოველდღიური გაზეთი.

**ფ ა ს ი:**

წლიურათ . . . . . . . 7 მანეთი
ნახევარი წლით . . . . . 4 მანეთი
თვიურათ . . . . . . . 3 აბაზი

**ცალკე ნუმრის ერთი შაური.**

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილ-ნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

№ 121

წელიწადი მეორე

1913

კვირა, 11 აგვისტო.

**მისამართი:** Кутаисъ, редакція газ. „И М Е Р Е Т И".

ტელეფონი № 149.



ეროვნული ბიბლიოთეკა



მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისთვის ყოველდღიურ გაზეთზე

წელიწადი მეორე

1913

## იმერეთი

**გაზეთის ფასი:**

ერთი წლით . . . 7 მანეთი,
ნახევარი წლით . . . 4 მანეთი.
ერთი თვით. . . . 3 აბაზი.
და ცალკე ნუმრის . . . 1 შაური,

სამგლოვიარო განცხადების თითო დაბეჭდვა—სამი მანეთი.

**განცხადების ფასი:** პირველ გვერდზე პეტიტის ანგარიშით პწკარი ღირს 3 შაურათ მეოთხეზე—ორ შაურათ, შიგნით გვერდზე მორიგებით. შრომის მაძებართა განცხადება—ნახევარ ფასათ.

გაზეთის დასაკვეთი ფასი და აგრეთვე სხვა ანგარიშებიც უსათუოთ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს: Кутаисъ редакція газеты „И М Е Р Е Т И"

სხვანაირათ გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.



ქვრივი ელისაბედ ექვთიმეს ასული სალაყაიასი, შვილები: გიორგი და ელენე აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველი ძვირფასი მეუღლის მეორენი საყვარელი მამის ფოთის პოლიცმეისტრის

**კოსტანტინე ვახტანგის ძის სალაყაიას**

ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება კვირას, 11 აგვისტოს, ფოთის სასაფლაოს ეკლესიაში წირვას შემდეგ.



ქვრივი ლადიმერ დარისპანის ძე მასხარაშვილი და მშობლები მალაქია გრიგოლის ძე და სეფორანი დავითის ასული სადარაძენი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 31 აგვისტოს სოფელ ბაჯში წმ. გიორგის ეკლესიაში წირვას შემდეგ, გადახდილ იქნება ორმოცის პანაშვიდი

**ანა მასხარაშვილის**

სულის მოსახსენებლათ.



## ახალი წიგნის მაღაზია

**კ. ი. ოცხელისა**

ქუთაისში ალექსანდრეს ქუჩაზე ზ. კოკოჩაშვილის სახლში გაიხსნა

## უდიდესი

## წიგნის მაღაზია

**კონსტანტინე ივანეს ძის ოცხელისა.**

[…]ალ მაღაზიას შეძენილი აქვს მეტათ მრავალი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნი.

[…]ალ მაღაზიას სურს შეამსუბუქოს და გაუწიოს პროვინციის წიგნის მაღაზიებს, სასწავლებლებსა და წიგნსაცავებს, რომელთაც დაეთმობათ წიგნები, რაც შეიძლება, ფას-დაკლებით. ამაზე ყველა დარწმუნდება მაღაზიის პირდაპირი გაცნობით.

[…]ალი მაღაზია გახსნილია იქ, სადაც ·აქამდი მთავრიშვილის ყოფილი […]მხანაგობის წიგნის მაღაზია არსებობდა; მის გვერდით გამართულია დ. ოცხელის სპეციალური საკანცელარიო მაღაზია, სადაც მოიპოვება ყოველნაირი სასწავლო ნივთი მლიერ იაფათ.



## ქ. ქუთაისში.

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

## საბუღალტერო კურსები

**გ. გ. გიკინეიშვილისა.**

[…]რსებზე მსმენელები მიიღება ოთხი კლასის მოწმობით. (გიმნაზია, [ს]ამოქალაქო და სასულიერო სასწავლებელი). კურსი ათი თვისაა. [ს]წავლის ფული ასი მან. თხოვნები მიიღება კურსების კანცელარიაში. (თფილისის ქუჩა, სახლი ბარქაიასი.)



?

## „ირისი"

## „ეგიპეტსკია"

## „პაროსი"

?

100—100



## ქუთაისის ქართული

## გიმნაზია

აცხადებს, რომ მდგომარე წლის სეკტემბრისათვის თავისუფალი ვაკანსია მოიპოვება მხოლოდ

## მოსამზადებელი კლას[…]

**1-სა და 2 განყოფილებაში.**

თხოვნა და საჭირო დოკუმენტები (მეტრიკული, წოდებისა და ყვავილის აცრის მოწმობები) უნდა წარმოადგინონ 20 აგვისტომდის.

სწავლახალი გამოცდა დაიწყება 26 აგვისტოდან.



## თ. ა. მთავრიშვილის

## წიგნის მაღაზია

აუწყებს მასწავლებლებს, მოსწავლეებს და პროვინციის წიგნის მაღაზიებს, რომ ამა 1913—14 სასწავლო წლისათვის დამზადებული აქვს

## დიდძალი სახელმძღვანელო და სხვა

## წ ი გ ნ ე ბ ი,

რომელიც იხმარება ქალაქ ქუთაისისა და ქუთაისის გუბერნიის დაბალსა და საშვალო სასწავლებლებში.

**ფასები საკმაოდ დაკლებულია.**

მსურველთ შეუძლიათ წიგნებთან ერთად მოითხოვონ ჩვენგან სხვა სასწავლო ნივთებიც: **რვეულები, კალმები, კალმის ტარები, კარანდაშები, საანგარიშო დავთრები** და სხ., რასაც **ძალიან დაკლებულ ფასათ** დაუყონებლივ მივაწვდით **გოკიელის** საკანცელარიო მაღაზიიდან.

მისამართი: **ქუთაისი,** ალექსანდრეს ქუჩა, ბოკერიას სახლი, ბულვართან.



## ქუთაისის რეალური სასწავლებელი

ამით აცხადებს, რომ განმეორებითი ეგზამენები და მისაღები გამოცდანი პირველი კლასისა და

**მოსამზადებლების უმცროსსა და უფროს**

განყოფილებაში შემსვლელთათვის დაიწყება 21 ამა მარიობისთვიდან.

**დანარჩენ კლასებში მიღება იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ თავისუფალი ადგილები დარჩა.**

თხოვნების მიღება დასრულდება 19 მარიობისთვეს. დაწვრილებითი ნუსხა ეგზამენებისა და სხვა ცნობანი სასწავლებლის კანცელარიაში.

მეცადინობა დაიწყება 1 ეკენისთვეს.



იყიდება მხოლოდ ქ. შ. წ. კ. გ. ს. წიგნის მაღაზიაში, თფილისში

## კ ა ნ ო ნ ი

გლეხთა სოფლელთა და მემამულეთა შორის დროებით ვალდებულ და დამოკიდებულ ურთიერთობის მოსპობისა ნადელის დახსნითა და შეძენით საკუთრებათ, მთავრობის დახმარებით, თფილისის, ქუთაისის, ერევნის, განჯისა და ბაქოს გუბერნიებში.

## ВРЕМЕННАЯ

инструкція должностнымъ лицамъ и учрежденіямъ по приведенію въ исполненіе Закона 20 декабря 1912 г.



## ქირავდება

ერთი ოთახი მეორე სართულზე ბალახვანის ქ. სახლი პ. ბოჭორიშვილის მსურველს შეუძლია მიმართოს იქვე ეზოში.



## იყიდება

ქუთაისში "პოდგორნი" ქუჩაზე რიონის პირისკენ ორსართულიანი ქვიტკირის სახლი სარდაფით.

მისამართი: „პოდგორნი" ქუჩაზე ზაინკალი (слесарь) ერმილე ქორიძე.



**ა ქ ი მ ი** ქ. თ. ტყეშელაშვილი.

ათი აპრილიდან ღებულობს ავათმყოფებს (**შინაგანი ვენერიული კანის**) ახალ ბინაზე: ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან. პუშკინის ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში.



**აქიმი** ვ. ა. ნემსაძე ღებულობს შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ნაშვადღევის 3—6 საათ. თფილისის ქუჩა, ფირალოვის სახლი.



შინაგან სნეულებათა **ა ქ ი მ ი**

**ნიკ. ივ. შენგელია.** მიღება: დილით 9—11 ს., საღ. 5—7. გენერლის (გოგებაშვილის) ქუჩა, საკ. სახლი.



**აქიმი ი. ჩარექოვი**

**ხუთ ივნისიდან მიიღებს კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს ახალ ბინაზე.** გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში.


## უსეზონობა.

დანამდვილებით გავიგეთ, რომ წელს სათეატრო სეზონი არ იქნება. დრამატიული საზოგადოების გამგეობას გადაუწყვეტია—წელს დასი აღარ იყოლიოს. ამნაირათ ამ ზამთარში მოკლებული უნდა ვიყოთ იმ ესთეტიური კმაყოფილების აჩრდილსაც კი, რომელსაც ჩვენი ყოველმხრით ღარიბი და დაქვეითებული სცენა გვაწვდის, ქუთაისმა პროჟექტორებში უნდა იაროს, რადგან სხვაგვარი კულტურული გასართობი ჩვენ არ მოგვეპოება. არავითარმა საზოგადო კრებულმა არ გასჭრა, ყოველივე! სჯა-ბაასმა უნაყოფოთ ჩაიარა და ჩვენი დაუდევრობა ვერ გამოვასწორეთ. არა ერთჯერ და ორჯერ აგვინიშნავს, რომ ქართველი საზოგადოება თეატრალურ საქმეს, მშობელი სცენისა და ხელოვნების აყვავებას გულცივათ ეპყრობა. ყოველ სეზონს დეფიციტი მოსდევს, შემოსავალი ხარჯს ვერ ფარავს და გამგეობა ქველმოქმედებით სულდგმულობს. ეს ხდება ყოველ წელს, ყოველ სეზონში და ამგვარი მოვლენის ეპიდემიურმა ხასიათმა გამგეობასაც თავი მოაბეზრა, ყოველ წელს „მოწყალების" თხოვნამ გული გააწყალა. ვერ გამოძებნეს საშვალება, რომ თეატრის კრიზისი დაეთრგუნათ, ასეთ სენს წამალი ვერაფერი გამოუნახეს და ამის გამო თეატრალური საქმე ფერხდება და მშობლიური სცენა ქვეითდება და იღუპება. დიდის ენერგიით ძებნიდა ჩვენი გამგეობა კრიზისის ასაცილებელ საშვალებებს, მაგრამ დღემდი ძებნა ძებნათ რჩება და მიგნებით ვერაფერს მიაგნეს. ეს იყო მიზეზი, რომ გადასწყვიტეს—წელსაც იმავე პირობებში ქონოდათ სეზონი, როგორც წინა წლებში და დეფიციტი ქველმოქმედებით შეგროვილი თანხით დაეფარათ, მაგრამ, როგორც მკითხველი ხედავს, წელს ესეც მოუხერხებელი გამხდარა და სავსებით უსეზონოთ ვრჩებით. ამ შემთხვევაში არ შეიძლება მთელი ბრალდება მარტო ქართველ საზოგადოებას მოვახვიოთ თავზე და იძულებული ვართ საყვედურით მივმართოთ მათ, ვინც თეატრის საქმეს

დღეს სათავეში უდგა. რაკი საზოგადოების გამგეობამ იცოდა, რომ „წყლულის მალამო“ არც ისე ადვილი მისაგნები იყო და შეიძლება ძველ პირობებში დაჭირვებოდათ ანტრეპრიზის აღება, საჭირო იყო მეტი შორს მჭვრეტელობა გამოეჩინათ და საქმეს დროით შედგომოდენ. ცხადია, გამგეობამ ვერ გამოიჩინა სათანადო ინიციატივა და საქმეს ისეთი სიფხიზლით ვერ მოეპყრო, როგორც უნდა მოპყრობოდა. ეს რომ ასეა, ამას ის გარემოება გვიმტკიცებს, რომ კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომ წელს სეზონი უნდა გვექნესო, ვერ განხორციელდა, და ვერ განხორციელდა, რადგან მსახიობებმა დიდი ჰონორარი მოითხოვეს. ჩვენს გამგეობას მსახიობთა ძებნა-დაჭირავება ყოველთვის ზაფხულის მიწურულში უხდება ე. ი. მაშინ, როცა თვალსაჩინო და ხეირიანი მსახიობები შედარებით უფრო ხელსაყრელი პირობით ყავს უკვე თფილისის გამგეობას დაჭირავებული და ამისგამოა, რომ იგი იძულებული ხდება მესამე ხარისხოვანი მსახიობიც კი უმდაბლესი ხვეწნა-მუდარითა და ჯამაგირების მომატებით დაიყოლიოს და დაითანხმოს ქუთაისში სამსახურზე. სად არის გამგეობა მაშინ, როცა მსახიობები თავისუფალი არიან და არ იციან, თუ მომავალ სეზონში სად მოხვდებიან? რატომ უსათუოდ აგვისტოში უნდა ძებნონ მსახიობები, როცა მათი რიცხვი ამ თვეში ასე მცირეა? შეიძლება გამგეობამ იმითი იმართლოს თავი,—რომ სეზონის საქმე საზოგადო კრებამ უნდა გადასწყვიტოსო და კრება კი ივნისამდი არ შედგაო? მაგრამ ეს ვერაფერი გამამართლებელი საბუთია, რადგან სეზონი თითქმის ყოველთვის მარტის პირველ რიცხვებამდი თავდება და განა რა საჭიროა კრება აუცილებლათ მაისში ან ივნისში მოხდეს და არა მარტსა ან აპრილში? თფილისის გამგეობა კი როგორღა მოქმედებს ამ შემთხვევაში? წელს რომ სეზონი არ გვაქვს, აქ არა ნაკლები ბრალი მიუძღვის იმ ქართველ მსახიობებსაც, რომელთაც ძველებური სცენისადმი ტრფიალი—ვაჸრულ ოსაზრებებზე დაახურდავეს და ყოველ წელს მიწურულში გამგეობასთან წვრილმან ვაჭრობა მართვენ. ჩვენ გვგონია, რომ თუ ქართველი საზოგადოებისთვისაა დიდი დანაკლისი წელს სეზონის უქონლობა, ეს სასიამოვნო არ უნდა იყოს მსახიობებისთვისაც, თუ კი მათ სცენის უმწიკვლო ქურუმებათ მოაქვთ თავი და სცენა ჯერ მთლად სავაჭრო დაწესებულებათ არ გაუხდიათ. ჩვენ სულითა და გულით მოწადინებულიც ვართ, რომ ქართველ მსახიობთა მდგომარეობა როგორც მატერიალური ისე სხ. ზედმიწევნით გაუმჯობესებული იქნეს, მაგრამ ჯერჯერობით კი, სანამ ჩვენი თეატრი და სცენა ხალხის უმეტესობის გულცივობისაგან დაზღვეული არაა, საჭიროა ამათაც გარემოებისა და მიხედვით იმოქმედონ და დიდის ვაი ვაგლახით, ჭაპანწყვეტითა და გაჭირვებით დაწყებული საქმის აღორძინებას ყოველი მხრით შეუწყონ ხელი, თუნდა ეს სხვერპლიც იყოს მათის მხრით. წელს არ გვაქვს სეზონი და სამწუხაროა, რომ აქ სამივეა დამნაშავე:—საზოგადოებაც, გამგეობაცა და მსახიობებიც.

**იმერი.**

## პ რ ე ს ა.

„სახალხო გაზეთის“ უკანასკნელ ნუმერში ნოქარი ნოე ჭანტურაიას წერილია მოთავსებული იმ პროტესტების გამო, რომლითაც ერთი მიმართულების ხალხმა ლამისაა ყურები გამოგვიჭედოს და რომელიც ხსენებულ პროტესტებს „ერის“ ხმათ ასაღებს. აი, რას სწერს ბ-ნი ჭანტურაია თავის წერილში:

„თანამედროვე ქვეყნის“ 29-ე ნუმერში ვკითხულობ: „იმ სამარცხვინო ცილისწამებას შემდეგ, რაც გაზეთმა „სახალხომ“, „თემმა“ და „იმერეთმა“ დასწამეს მშრომელი ხალხის დამცველთ, ჩვენ, დაბა გუდაუთის ხელოსნები და ნოქრები, სასტიკ პროტესტსა და გულის წყრომას ვუცხადებთ ზემო აღნიშნულ გაზეთებს. არ იფიქროთ, ბატონებო, რომ თქვენი ოინბაზობით ფონს გახვიდეთ. თქვენი გაიძვერული ფანდები უკვე დიდიხანია გავიგეთ“.

რადგან დანამდვილებით ვიცი, რომ საპროტესტო წერილზე ხელის მომწერთ კ. ბალავაძე დაეძებდა და პირველად მას უწერია ხელი, ამიტომ ვეკითხები კ. ბალავაძეს: 1) რა უფლება ქონდა დაბა გუდაუთის ხელოსნებისა და ნოქრების სახელით პროტესტი გამოეცხადებია ვისმესთვის? საპროტესტო წერილზე ნოქართაგანს ორ-სამს თუ უწერია ხელი და ისიც საქმის ვითარების გაუთვალისწინებლათ. როგორც თვითონ ხელის მომწერი ნოქრები ამბობენ, სიზმარ-ცხადი არაფერი არ იცოდენ, რაზე აწერდენ ხელს. 2) რა უფლება ჰქონდა ბატონ კ. ბალავაძეს ხუთი წლის ბავშის სახელი და გვარი გამოეცხადებინა გაზეთში? ჯერ კიდევ არავინ იცის, ის ბავში ნოქარი გახდება, ხელოსანი თუ სტუდენტი. შეიძლება რიცხვის გასადიდებლათ დასჭირდა?

პასუხს ველი“.

არ ვიცით ამ წერილის შესახებ, რა აზრის იქნებიან „თანამედროვე ქვეყნის“ „აფხანიკები“ ჩვენ კი ჩვენის მხრით ერთ წინადადებას მივსცემთ: გამოიყვანონ თავისი „ფენომენი“ ფილიპე, ქუჩა-ქუჩა ატარონ და მსოფლიოს ატლიოტათ გამოაცხადონ. არ გასაღდება თუ? ხუთწლოვანი „კლაკიორები“ საუკეთესო რეკლამას შეუქმნიან დიდებული „იდეია“ „იდეალების“ მატარებელს... ხომ ხედავთ მკითხველო? ბუმბერაზი ფილიპე ჭორების გუდით, მისი მეხოტბე „ჩვენი საამაყო გენიოსი“ ნოე ჩხიკვაძე, ანსამბლის დამცველი ხუთწლოვანი პროტესტანტები, ბალავაშეები „საპროტესტო“ უსტრებით ხელში, მშვენიერი პანამაა არა? არა მგონია, ასეთი მედგარისა და მძლეთა მძლე ლაშქრის დრტვინვას ნაციონალისტთა ბანაკი გაუმაგრდეს. ხუმრობა ხომ არაა, „მშრომელთა კლასი“ ლაპარაკობს, გესმით, „მთელი მშრომელთა კლასი“!..

## ახალი ამბავი.

✦ ქუთაისის წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელში ქართული ენის მასწავლებლათ ია ეკალაძე—ცინცაძე დაინიშნა.

✦ ზოგიერთი მასწავლებლის ხელმძღვანელობით ქუთაისში შემდგარა კომისია, რომელმაც ქართული ისტორიის სახელმძღვანელო უნდა შეიმუშაოს,

✦ ია ეკალაძეს განზრახვა აქვს 1914 წლის 1 იანვრიდან ქუთაისში ყოველდღიური ქართული კაპიკიანი გაზეთი გამოსცეს.

✦ 1912 წლის განმავლობაში ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოებას ქონია 19 განყოფილება, რომელსაც 20,040 წევრი ყოლია ყველა განყოფილებას საწევრო ფული შემოსვლია 6,511 მან., ხოლო განყოფილებათა მთელი შემოსავალი 33,646 მან. ყოფილა.

✦ პოლიტეხნიკუმისათვის თფილისში მიწების ყოველმხრივი გამოკვლევა სეკტემბრის პირველი რიცხვებისთვის დასრულდება.

## დ ღ ი უ რ ი.

ოსმალეთის ჯარი ბულგარეთის ძველ საზღვრებში შეიჭრა.

— ბულგარეთში შესვლის გამო რუსეთი ოსმალეთს დიპლომატიური კავშირის შეწყვეტით ემუქრება.

— რუსეთის ორი სტაციონერი გემი სტამბოლიდან გამოვიდა.

— სახელმწიფოებს განზრახვა აქვთ ოსმალეთს წინადადება მისცენ, რომ მან ჯარის დემობლიზაცია მოახდინოს.

— სერბიის მეფემ უმაღლესი ბძანებით დაამტკიცა ბუქარესტის ხელშეკრულობა.

— სერბიაში დაბრუნდა თავის... შემდგარი ჯარი.

— ... ადრიანოპოლის ... დელეგაცია ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტროში სტატ-სეკრეტარის თანა... წემ მიიღო.

— დასრულდა კიევში სრულიად ... სეთის კოოპერატორთა კრება.

✦ გრიგ. რობაქიძემ უკვე დაასრულა ლექციების კითხვა ჩვენი ქვეყნის სხვადა სხვა კუთხეში.

✦ ოზურგეთის მაზრის სოფელ გომში ივანე ანდღულაძეს რევოლვერით დაუჭრია თავისი ცოლი და სიძე. დაჭრილები ბათომს წაიყვანეს, ანდღულაძე ჯერ არ დაუკავებიათ.

✦ უწერის მახლობლათ (რაჭაში) ტყეში უნახავთ ადამიანის ძვლები და იარაღი. ამბობენ, ეს ამ სამი წლის წინათ სანადიროთ წასული მოაგარაკის ნაშთი უნდა იყოსო.

✦ პლ. ლექავა გურიასა და ფოთში მიუწვევიათ მომხმარებელ საზოგადოებათ ანგარიშების ამერიკულ სისტემაზე მოსაწყობათ.

### მოწერილი ამბავი.

**დ. ჭიათურა.** 19 ივლისს გაიხსნა შავიქვის საბჭოს მიერ დაარსებული ახალი სამკითხველო, რკინის გზის მახლობლათ დარისპან გაჩეჩილაძის სახლში. ჯერ მხოლოდ სამკითხველოს მეტი არ მოეწყო ვინაიდან უკვე დაკვეთილი წიგნების მიღებამ დაიგვიანა და წიგნების მიღებისთანავე ბიბლიოთეკაც გაიხსნება. სამკითხველოს მოსდის ქართული გაზეთები „იმერეთი“, სახ. გაზეთი“ „განთიადი“ „ახალი აზრი“ „თემი“. ჟურნალი „კლდე“ და „სასოფლო გაზეთი“. რუსულ ჟურნალ-გაზეთები: „რუსკოე-სლოვო“, „დენ“ „Закавк. Р.“ „Все“ „Нива“. განზრახვაა აგრეთვე გამოიწერონ სომხურ-თათრული და ბერძნული გაზეთები. სამკითხველოში ჯერ-ჯერობით ყოველდღე 20-30-დი მკითხველი დაიარება. განათებულია ელექტრონის სანათურითა და ეზოში გამოყვანილია წყაროს წყლის აუზი. სამკითხველოს განაგებს ვ. ღულაძის ასული დ. წალენჯიხა.

— 29 ივლისს ბოქაულ დადიანის თაურობით საპოლიციო დარაჯებმა ... პყრეს გამოქცეული კატორგელი ჩარკვიანი. დაპატიმრების დროს ჩარკვი... დასჭრეს, იგი ზუგდიდის სატუსაღ... გაგზავნეს.

**სოფ. ციხე** (გურია) 30 კვირკ... თვეს, ღამის ათ საათზე ამ სოფელ... სროლა ასტყდა, მცხოვრებლებს შ... ზარი დაეცათ, იფიქრეს სოფელს ავა... კები დაეცნო, მაგრამ, როგორც ... მოირკვა მეორე დღეს თურმე ჩოხატ... რის ბოქაული თავის ამალით მოდი... სოფ. სურებიდან და მათ აეტეხათ ს... ლა. როგორც გადმოგვცეს რამდენ... ტყვია ბლადჩინის ცინცაძის სახლს მ... ხვედრია, მაგრამ არავინ დაშავებულა.

**სოფ. სკრები.** (გურია). მოკლეს ც... ბილი ყაჩაღი სანიკიძე. მცხოვრებნი ძ... ერ შევიწროებული ყოფილან ყაჩაღებ... საგან და ცთილობენ ავაზაკების დამონ... ბას.

**ს. საჭილაო** (ქვემო იმერეთი). 28 ... ლისს აქ ჩამოვიდა თფილისიდან რამდენ... მე რუსი „ცილორში“ სახელმწიფო მამ... ლის დასათვალიერებლათ. მამული მოწ... ნებიათ და სურთ სავლეხო ბანკის დახ... რებით ამ მამულზე რუსები დაასახლო... რამდენიმე ხნის წინათ ასევე დაათვალი... რეს სახელმწიფო მამული „ანტერი“ ... მამულზე რუსების დასახლებით ქართვე... გლეხობას დიდი შევიწროება მოელის.

**ს. ბარდნალა** (ლეჩხუმი). 21 ივლ... გაიმართა ილიას საღამო, საღამო ოთ... განყოფილებისაგან შესდგებოდა. წაიკით... ხეს მგოსნის ბიოგრაფია, შეეხნენ მის ლ... ტერატურულ მოღვაწეობას, წაიკით... აგრეთვე მგოსნის ლექსები და პოემიდ... ზოგიერთი ადგილი. წარმოადგინეს „დ... და და შვილი“ და კაკო ყაჩაღი“ სად... მოს ხალხი ბლომათ დესწრო.

## მუშათა, კალთა და ეროვნული საკითხი.

ეროვნული საკითხის გადაჭრა საფუძვლათ უნდა დაედვას ორს სხვა ხსენებულ საკითხს.

ვიდრე არ გადაწყდება პირველი,—არ გადასწყდება არც ის ორი საკითხი, პირველისაგან დამოკიდებული.

იმპერიალისტურ სახელმწიფოში, სადაც არიან დამპყრობელი და დაპყრობილი ერები, შეუძლებელია დემოკრატიული პრინციპის სავსებით გამარჯვება.

ავსტრალიაში, რომელიც წარმოადგენს თითქმის განცალკევებულ სახელმწიფოს, უფროა გამარჯვებული დემოკრატია, ვიდრე თვით ინგლისში.

როგორიც ავსტრალიის მუშებმა, იმისთანა საქარხნო კანონები ვერ მოიპოვეს მათმა ინგლისელმა ძმებმა.

ინგლისის მუშებს ეშინიათ, ვაი თუ დემოკრატიული არ გამოდგესო მუშათა და კაპიტალისტთაგან შემდგარი სასამართლო, რომელმაც ასე დიდი სამსახური გაუწია ავსტრალიის მუშებს.

იმპერიალისტურ ქვეყანაში თითოეული მოქალაქე, კაპიტალისტი თუ მუშა, მილიტარიზმით არის გაჟღენთილი.

იმპერიის ხელოვნურათ შეკოწიწებასა და შეერთებას დასტრიალობს მთელი მისი ფიქრი და გონება.

იმპერიის მთლიანობის თვალსაზრისით უყურებს ის შინაგანს, სოციალურ საკითხს.

შიში, ვაი თუ იმპერია დაინგრესო, თავს დასჩხავის მას, როგორც შავბედითი ყორანი და უწამლავს, უბორკავს რწმენასა და აზრს.

მისი გონება შევიწროებულია, შეკრულია ამ სოციალური ცრუმორწმუნეობით, რომლის საკურთხეველსაც კაცობრიობამ შესწირა თავისუფლება და ბედნიერება.

და ხალხთა ისტორიული წინსვლა, პროგრესი, განიზომება იმდენათ, რამდენათაც საზოგადოებამ თავი დააღწია ამ ანტისოციალურ რწმენას.

დეე, იყოს თითოეული ერი ავტონომიური.

დეე, თითოეული ნაწილიც ყოველი ერისა განაგებდეს დამოუკიდებლათ თავის შინაურ საქმეებს.

პროგრესს ქმნის მხოლოდ თავისუფალი კავშირი ხალხთა.

თუმცა არსად არ არის განხორციელებული სავსებით თავისუფლება, მაგრამ ზოგიერთი ქვეყანა უკვე მიუახლოვდა ამ იდეალს.

და, ვიდრე სხვაგან, იქ მეტია საერთო კეთილდღეობა და უმჯობესია მუშათა მდგომარეობა.

იქ უფრო ხელშეუხებელია მოქალაქის პიროვნება, რადგან უფრო დამოუკიდებელია სასამართლო და უფრო სწორია სამართალი.

ამ მხრით ინგლისმა მაგალითი უჩვენა ახალ ქვეყნებს.

და თუ, ინგლისში სუფევს პიროვნების ხელშეუხებლობა, კრების თავისუფლება, დამოუკიდებელი ადგილობრივი თვითმართველობა და სხ., ეს იმის შედეგია, რომ იქ არ განვითარდა ძლიერ მილიტარიზმი გეოგრაფიულისა და ისტორიული პირობის გამო: დღემდი არ არის საყოველთაო სამხედრო ბეგარა.

ამიტომ ინგლისში, როგორც მის ახალშენებში, ნაკლები დაბრკოლება ეღობება წინ მუშათა ეკონომიურ ბრძოლას.

ინგლისში, მის ახალშენებში და ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებში დემოკრატიული ადგილობრივი თვითმართველობანი უშენებენ მუშებს იაფსა, სუფთასა და ჰიგიენურ სახლებს, უადვილებენ მათ მიწის შეძენას პატარა-პატარა ნაჭრებათ, უიაფებენ აქიმობას, სწავლასა და სხ.

ავსტრალიასა და ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებში მუშათა დიდი ნაწილი იძენს ნამდვილს მეცნიერულ განათლებას სახალხო უნივერსიტეტებში, რომლებშიც საუკეთესო პროფესორები ასწავლიან.

განათლებული მუშა კი ქმნის ქონებრივ სიმდიდრეს: მრეწველობასა და მეურნეობას.

ჩრდილო ამერიკის შტატების საარაკო მეურნეობა არის ნაყოფი მეცნიერი მეურნეებისა და განათლებული მუშების შეერთებული შრომისა.

და, როდესაც უმაღლესათ განვითარებულია მეურნეობა და მრეწველობა, მაშინ მუშის წილიც უფრო დიდია, მისი ბედიც უფრო სანატრელია ღარიბი ქვეყნის მუშის ქირასთანა და ბედთან შედარებით.

ამგვარათ მუშა თვით ქმნის სიმდიდრესა და თვით აუმჯობესებს თავის მდგომარეობას.

მაშ რას უნდა მივაწეროთ მუშათა კეთილდღეობის შედარებითი დიდი სიმაღლე ხსენებულ ქვეყნებში?

დემოკრატიული პრინციპის გამარჯვებას.

ამ პრინციპმა კი იმიტომ მოიკიდა იქ ფეხი, რომ თავიდანვე უარყოფილი იყო იმპერიალიზმი და პოლიტიკური ცენტრალიზაცია.

სადაც იმპერიალიზმია გამარჯვებული, იქ არც კანონმდებლობა არის დემოკრატიული.

ერთს პარლამენტში ვერ შემუშავდება კანონები უხარმაზარი ქვეყნისთვის, რომლის ნაწილებიც ერთიმეორისგან დიდათ განსხვავდება.

ამგვარი პარლამენტის დეპუტატებს ერთმანეთის არაფერი გაეგებათ: „სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირიო“, ნათქვამია.

შორეული კუთხის მიტინგები, ლიტერატურა, საზოგადო აზრი უცხოა პარლამენტისთვის.

მხოლოდ დედა-ქალაქს აქვს ამ მხრით მნიშვნელობა.

ხალხის დიდ უმეტესობას არ აქვს აქტიური გავლენა კანონმდებლობაზე.

საკანონმდებლო დაწესებულება, პარლამენტი, ხდება ბიუროკრატიულ დაწესებულებათ, რომელსაც ვერ სწვდება ხალხის ხმა.

ინგლისმა, კარგი ხანია, შეიგნო ეს ჭეშმარიტება და მიანიჭა თავის ახალშენებს საკანონმდებლო უფლებანი.

ავსტრალიას, ახალ ზელანდიას, კანადას, ტრანსვაალსა და ორანჟის მდინარის ბურებს, კაპის ახალშენს აქვთ ავტონომიური პარლამენტები.

მალე ირლანდიაც ეღირსება დიდი ხნის მოლოდინს—ჰომრულს.

და უკვე თანდათან მწიფდება ის აზრი, რომ შოტლანდიასა და უელსსაც უნდა მიეცეს იგივე უფლებაო.

დიდი ბრიტანიის თითოეული ხსენებული ნაწილი კი ინგლისურსავე ენაზე ლაპარაკობს!

მაშასადამე, ავტონომია საჭიროა მაშინაც კი, როდესაც ერთს ენაზე ლაპარაკობს სხვადასხვა კუთხე დიდი სახელმწიფოსი.

ცოტა ხანს შემდეგ ინგლისი შეიქნება ფედერატიულ კავშირათ ავტონომიურ სახელმწიფოთა.

და ამგვარი კავშირი, ცხადია, უკეთ დაიცავს სახელმწიფოს მთლიანობას, ვიდრე ციხეები და ფლოტი.

კიდევ უფრო აუცილებელია პოლიტიკური დეცენტრალიზაცია იმ სახელმწიფოსი, რომელშიც ცხოვრობს მრავალი სხვადასხვა ერი.

თუ ავტონომია არ მიენიჭა თითოეულ ერს, მთელი სახელმწიფოებრივი სხეული სნეული იქნება პოლიტიკურათ.

ერთს პარლამენტს აქ სრულიად არ შეუძლია ყურად იღოს სხვადასხვა ერის გაჭირვება—მოთხოვნილებანი.

პარლამენტი აქ მხოლოდ პარტია... ბრძოლის ასპარეზია, სხვა არაფერი.

ამის ცხად მაგალითს წარმოადგენს ავს... რიის პარლამენტი, რომლის სისუს... და უნაყოფობა იმის ბრალია, რომ ... ჭრელს, მრავალ-ერიან ქვეყანაში ვ... გამიჯნულა სხვადასხვა ერი და თით... ეულ ერს არ აქვს მოპოებული ავტ... ნომია.

და, რასაკვირველია, ლაპარაკიც მეტ... აქ პარლამენტსა და ხალხს შორის ა... სებულს ზნეობრივ ურთიერთობაზე: პა... ლამენტს საერთო არაფერი აქვს ხალ... თან: სულ სხვაა ხალხისა, ვიდრე პარლ... მენტის უმეტესობისა, ენა, აზრი და ქ... ვარამი.

ჩვენმა „დასელებმა“ შესთხზეს ყ... ვლად ცრუ თეორია პარლამენტარიზ... სა.

ხალხი ირჩევს დეპუტატებს. შემდ... დეპუტატები კანონმდებლობენო.

მორჩა და გათავდა!

მთელი მათი თეორია (?) ამოიწურ... ამ მარტივი ფორმულით.

მაგრამ ვინ არ იცის, რა დიდი გ... ვლენა აქვს ხალხის აქტიურ მონაწილ... ობასა და საზოგადო აზრს პარლამენტ... მოქმედებაზე.

მოსპეთ ინგლისში მიტინგები, გა... თები, კლუბები, ტრედიუნიონები, სამ... ცნიერო, სავაჭრო და საქველმოქმედ... საზოგადოებანი,—და პარლამენტი დ... კარგავს თავის დემოკრატიულ ხასიათს.

იმიტომ სუფევს ასეთი მჭიდრო კავ... რი ხსენებულ ორგანოთა და პარლამენტ... შორის, რომ პარლამენტის წევრნი, დე... პუტატები, არიან იქაური საზოგადოებ... ვე ღვიძლი შვილნი.

და, როდესაც არავითარი ზნეობრ... დამოკიდებულება არ არის პარლამენტ... და ხალხს შორის, როდესაც პარლამენ... არ ესმის ხალხის ენა და საჩივარი, მაშ... ის წარმოადგენს არა დემოკრატიულ...

# ლ ტ ო ლ ვ ა.

—:—

როს დღის მეფე ფერად სხივებს მიმოაბნევს მიდორ-ველათ,
მიწის მკერდით ნისლს ასწურავს სატრფიალოთ, საკოცნელათ,
მსურს თან გავყვე,—ლტოლვის ცეცხლში ძლიერდება სურვილ-ნება,
რომ იქ ნათლათ დავინახო, რითაც მხიბლავს აქ ოცნება.
მაგრამ მყისვე სევდის ქარი ფრთებს დაამსხვრევს ალმაფრენას,
თავს ვერ ვაღწევ მიწის ბორკილს, თავს ვერ ვაღწევ ცრემლთა დენას,
და შორს მრჩება ლტოლვის მხარე, ტუჩს აკვდება ვარდის ღიმი,
კაეშნიან სულის ქნარზე მწუხარებით მოსთქვამს სიმი...

**ცვარ-ნამი.**

---

დ. აბაშა. ადგილობრივი სავაჭროების მოსამსახურეების მდგომარეობა აუწერელია. დილის 5 საათიდან საღამოს 10 საათამდი და ხან უფრო გვიან იკეტება სავაჭროები. მოსამსახურეების თხოვნამ ვერაფერი გასჭრა; უკანასკნელათ კიდევ მიმართეს მაზრის უფროს თხოვნით, რომ სისრულეში იქნეს მოყვანილი მოწერილობა სავაჭროების დაკეტის შესახებ, სადაც აღნიშნულია: დილას უნდა იღებოდეს სავაჭროები 8 საათზე და იკეტებოდეს საღამოს 7-ზე.

**სოფ. შუამთა.** 7 ივლისს ი. თებზაძის თაოსნობით შოთა რუსთაველის ძეგლის სასარგებლოთ წარმოდგენა გამართეს. წარმოდგენის წინ სტ. ი. ყიფიანმა ლექცია წაიკითხა „ვეფხის ტყაოსანის“ შესახებ. ლექციამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა წარმოდგენამ კი ვერ დააკმაყოფილა ხალხი.

**სოფ. ოფშკვითი.** 27 ივლისს რომან ერისთვის გამგეობით წარმოდგენა გამართეს სამკითაველოს სასარგებლოთ. წარმოდგენა გვარიანი იყო სამი ნაკისრი როლი ჩინებულათ შესრულა. ს. ნაკაშვილის ასულმა. თვით მგალობლიშვილის თამაშმაც დააკმაყოფილა საზოგადოება, ხალხი ბლომათ დაესწრო..

**სოფ. სალხინო.** 31 ივლისს ვერა ჩიქოვაძის ქალის გამგეობით შოთას ძეგლის სასარგებლოთ წარმოდგენა გამართეს: წარმოდგენამდი სტ. ა. ჩაგუნაშვილმა ლექცია წაიკითხა შოთა რუსთაველზე.

**წაღვერი.** ამასწინათ „იმერეთის“ ფურცლებზე ერთ-ერთს კორესპონდენციაში შემდეგი კორექტურული შეცდომა იყო: დაბეჭდილი იყო:—კომისიამ შეკრიბა 24 მანეთიო. უნდა ყოფილიყო 240 მანეთი.

---

## მოვუწოდებთ ჩვენს თავად-აზნაურობას.

**აზნაურის წერილი.*)**

ჩვენ ბევრს უწმაწურობას მოვსწრებივართ. ჩვენი წარსული თავად აზნაურობის ბევრი უხეირობა გვინახავს... ცუდი ანდერძი დატოვეს მათ,—მათ რომ შეგნება და წინდახედულობა ქონოდათ, ჩვენი დღევანდელი ცხოვრება სხვა ჩარხით დატრიალებული იქნებოდა, აწმყო ისეთი საყვედურით არ მოიხსენებდა იმათ, მაგრამ, რაც უნდა სამდურავი გავაცხადოთ, ისინი მაინც წინ დგანან დღევანდელს ჩვენს თავად-აზნაურობაზე. ისინი ხეპრე ხალხი იყვენ, ჭიშკრის გარეთ ძვირათ თუ გაუხედავთ, მზა-მზარეულს შეჩვეულნი, არ ფიქრობდენ, თუ მათს შვილებს რა შრომა, რა უკუღმართი დრო დაუდგებოდათ, შორს მჭვრეტელობა მათი შორი გზის სავალი ბილიკი იყო; იმათ არ იცოდენ, თუ მცხეთასთან ოღრო-ჩოღრო გზა გავაკდებოდა, მიტომაც გადაიხიჩრენ დალისტნის, ქობულეთისა და ყარსის კლდენაპრალებში.

მაგრამ—ერთი რამ მაინც ქონდათ:—ისინი სიტყვით პატიოსანი იყვენ და რაინდული პატიოსნების დამცველნი. კარგათ ალესილი ხმალ-ხანჯალი იმათ ქარქაშში ედვათ, ვერვინ გაუბედავდათ ხელის ხლებას და, ვაი მის დღეს, ვინც ამ მათს წესს დაარღვევდა...

დღეს რასა ვხედავთ!?.

ძველების გამოზდილი თავად-აზნაურობა სულ სხვა სურათს წარმოადგენს. დაგბალული ხმალ-ხანჯალი სულ ამოღებული აქვთ, მაგრამ მათგან არათუ დაჭრილი კაცი არ გვინახავს; პირიქით—როცა მოსთხოვენ აზნაურულათ მოქცევას და იარაღით მათი პატიოსნების დაცვას, ისინი ან პოლიციას სთხოვენ შველას, ან ელთოფელათი გამოდიან საომარს ველზე.

ერთი ჩვენი წარმომადგენელი მეორეს ქურდს ეძახის, ყალბი ვექსილებისა და სიტყვის გამცემს. მეორეს საზოგადოება სადილს უკეთებს რაღაც შემთხვევის გამო; დარბაზობაში ერთი ორატორი ჩვენს წარმომადგენელს მექრთამეობას სწამებს; მეორეს ეუბნებიან სასალდათო ხალხი გაცარცვე და ეს ჩვენი დამშვენებული ამორჩეულნი არათუ თავს არ იმართლებენ—მედიდურობენ და ამაყობენ თითქო ამით. რას მოასწავებს ის გარემოება, რომ მთავრობის მოხელენი ხალხს აფრთხილებენ:—ქრთამი არ გაიღოთო. ამნაირ შეწამებას ჩვენი ძველები ვერ მოითმენდენ, ამას ისინი სასიკვდილო დანაშაულობათ ჩასთვლიდენ, ქვეყანაში თავს ვერ გამოყოფდენ... ახლანდელი ჩვენი „ნასწავლი“ წარმომადგენლები-კი თავს არ იტკივებენ ასეთი ჩირქი წაირეცხონ.

პრესაში ასამართლებენ, სწამებენ მექრთამობას, ფულის გაფლანგვას—ისინი მედიდურებით უპასუხებენ:—მე შემოსავალ-გასავალ დაფთრებში ყველა ქაღალდები თავის ადგილას ნუმრებით მიწყვიაო, კანცელარიის პირობები შეუბღალველი მაქვსო, აბა, მიპოვეთ რამეო!

ხედავ მუხთალ სოფელს! ახლა იმას ეძახიან თავის მართლებას, კანცელიარულათ კანცელარიის საქმეები მიწყობილ-მოწყობილი თუ აქვთ, ეს არის წესიერი თავად-აზნაურული მოქმედებაო... თავად-აზნაურობის კრებაა ჩვენს არჩეულს რაძდენიმე ეკითხება,—ეს ფული რათ შეგიჭამიათო, სასტიპენდიო ფული ყმაწვილებს უნდა გაგზავნოდა და თქვენ მიგირთმევიათ ექვსასი მანეთიო, ეს რა საქციელიაო! ამორჩეული მშვიდი ღიმილით გვიპასუხებს:—ჩვენა ვართ ყველაფრის გამგე, ჩვენა ვართ ფულის შემნახველი და მხარჯველიცო, თქვენ რას გვეკითხებითო, ვინა ხართ თქვენ, თქვენგნით შეკითხვის უფლების მიღება მაშინ მოისპო, როცა მე ამომარჩიეთო...

დღეს აზნაურობის საკრებულოს უფლება ახადა ჩვენმა მარშალმა. რევიზიაზე მიუშვა ისეთი დაწესებულება, რომელსაც სენატის ნებადაურთველათ არ შეეძლო რევიზია მოეხდინა. თავად-აზნაურობას პატივი დაუკარგა, საქმე იქამდი მივიდა, რომ ჩვენი წინამძღოლის წერილზე პასუხსაც არ აძლევენ და ვინმე ღედაკაცს უთვლიან—ჩემი გარდაწყვეტილება მარშალს გააგებინეო. ამაზე მეტი ზნეობითი დაცემა შეიძლება, ამაზე მეტი თავად-აზნაურობის შეურაცხყოფა შეიძლება?! არა, არ შეიძლება!

იგემეთ ახლა რა შედეგი მოყვა ჩვენი წარმომადგენლების ამნაირს მოქმედებას: ამბობენ სასამართლოში ჩვენს კაცს გადამწერის ადგილის მეტი არ ექნებაო: ჯარში ჩვენს აფიცრებს ნაადლობით ექნება ადგილიო; სწავლა-განათლების უწყებაში ჩააყენებს ყრიან, თითქოს ძველი ნოხი იყოს—ბერტყავენ, უადგილოთ სტოვებენ.

წაგართვეს ერთხელ ნაბოძები საქალებო სასწავლებელი და იქ სხვანი თავის ქეიფზე ფართაშობენ. ჩვენი სახალხო შკოლების ბედი კრუპსკი-გასპარიანცების ხელშია.

აშმორდა ყოველივე!

ძველი თავად-აზნაურობა, რაც უნდა დაბალის ღირსებისა ყოფილიყო, ამგვარს უკუღმართ მდგომარეობაში არ ჩაგვაყენებდა; ის შეებრძოლებოდა თავის დროზე სადაც ჯერ არს... და ამ ანდერძს დღეს გვიტოვებენ თანამედროვენი, ვითომ განსწავლულები, შეიძლება ამ მდგომარეობის მოთმენა? შეუძლებელია! არ დაკარგულა ჯერ კიდევ ჩვენი ქვეყანა, თავად-აზნაურობას არ გაუქვრია ჯერ თავისი ოჯახი, თავად-აზნაურობას არ დაბნევია სულ ჯერ გზა და კვალი. ჩვენში არიან კიდევ თავმოყვარენი, ჩვენში მოიძებნება კიდევ და კიდევ ისეთები, ვინც მოისურვებენ თავის დაცვას.

მოვუწოდებთ მათ, მოვუწოდებთ ჩვენს თავად-აზნაურობას—ვისაც ხმის ამოღება შეუძლია, ვისაც გონება უჭრის, გაგება აქვთ, პატიოსანი და თავმოყვარენი არიან, მოვუწოდებთ ყველას, ვისაც თავისი ქვეყნის სიყვარული შერჩენიათ კიდევ იმათ კარგათ იციან, რომ მხოლოდ თავად-აზნაურობას აქვს ორგანო და უფლება მიმართოს სრულის უფლებით უმაღლეს მთავრობას მოითხოვოს ის, რასაც დღეს იმათ ხელიდან აცლიან. ტყვილათ კი არ უბოძებიათ ჩვენთვის ამდენი გრამოტები და ჯილდოები, სულ ესენი ჩვენი წინაპრების ოფლითა და სისხლით ნაშოვარია და ამ სისხლით და ოფლით ნაშოვარს პატივი აქვს იქ, სადაც გვერწმუნებიან და ვინც გვპატრონობს.

გავაგებიოთ ჩვენი ვითარება და დარწმუნებული ვარ—ჩვენს თხოვნასა და ღაღადს გასავალი ექნება და დაგვიფარავს ისე გულწრფელათ და კანონიერათ, როგორც ჩვენ მათ გულწრფელათა და ღირსეულათ დაგვაჯილდოვეს არა ერთხელ.

ხოლო სანამდი წმინდის გულითა და სიმართლით მაღალ მართებლობას მივმართავდეთ, ჩვენ ჩვენშივე გვაქვს გასასწორებელი საქმე, ჩვენს არჩეულებს უნდა დავუდვათ განაჩენი, ჩვენს ოჯახს სჭირია გაწმენდა, დაჩირქებული სხმო უნდა მოვიშოროთ, ჩვენს არჩეულებს უნდა მოვსთხოვოთ დაგვანებონ თავი. კმარა ამდენი თმენა და სულგრძელობა. ახალი, ჩვენი ღირსების და უფლებისა დამცველები გვეჭირვება, ჩვენ გვინდა ჩვენი მდგომარეობის ძიება და გამოკვლევა და ამ საქმეს ხომ ხედავთ ჩვენი არჩეულები ვერ უძლვებიან!.

არათუ უძლვებიან—რყვნიან, აშმორებენ ჩვენს ნიადაგს!

**მომსწრე აზნაური.**

*) ვბეჭდავთ ამ წერილს იმ მოსაზრებით, რომ შიგ ბევრი სიმართლეა გამოთქმული. „მომსწრე აზნაურის“ აქ გამოთქმულ ბევრ აზრს ჩვენ, ცხადია, ვერ ვიზიარებთ. ჩვენს გაზეთს ამ წოდების შესახებ ადრეც არა ერთხელ გამოუთქვამს თავისი აზრი და შეხედულება და კვლავაც გამოსთქვამს. რედ.

---

რამედ ბიუროკრატიულ დაწესებულებას.

და ეს ხომ ცხადი უნდა იყოს ყველასთვის, ვინც კი განგებ არ იბრმავებს თვალს, რომ შეუძლებელია დედაენაზე სწავლა იქ, სადაც არ არის ეროვნული თვითმართველობა.

თვალს გვიბრმავებს, გვატყუებს, ვინც უარსყოფს ამ უცილობელ ჭეშმარიტებას.

და უცხო ენაზე პირველდაწყებითი და საშუალო სწავლა მარტო იმ მხრით არ არის მავნებელი, რომ სპობს უძლეს ეროვნულ კულტურასა და განათლებას, არამედ იმითაც, რომ ხელს უშლის, აფერხებს მოზარდი თაობის გონებრივ განვითარებას.

ვიდრე უცხო ენას შეითვისებდეს ისე, რომ გაიგოს წაკითხული, შვიდი წელიწადი სჭირდება ნორჩ ახალგაზდას!

მერე შვიდი საუკეთესო წელიწადი!

ნორჩი ახალგაზდობის ხანი უბედნიერესი და უნაყოფიერესი დროა კაცის სიცოცხლეში!

მაშინ რომ შეუძლია დაისწავლოს, შემდეგ იმდენს ველარ დაისწავლის და ველარ დაიხსომებს კაცი.

ბუნება და რა სქოლასტიკა რომ შეისწავლო ამ ხანში ბავშს, სულ სხვა ნაყოფს მოიტანს მისი აღზდა.

და დედაენაზე სწავლას, თუნდა თანამედროვე სქოლასტურ საშუალო სასწავლებელშიც, დიდი მნიშვნელობა ექნებოდა: მოსწავლე ადრე დასძლევდა და დაიცავდა თავს სქოლასტიკას.

ვაიხ! უცხო ენაზე სწავლა უკარგავს მოსწავლეს მისი ნორჩი ხნოვანების შვიდს საუკეთესო წელს!

მიტომ ეს არაბუნებრივი მეთოდი ასუსტებს მის ნერვებს და, მაშასადამე, მთელს მის სხეულსა.

სისხლსა სწოვს, ჭიასავით ხრავს, სულს უთავს!

სწავლა—ტანჯვა და წამებაა!

ბავშობის დრო, როდესაც გვასწავლიდენ, უბედური დრო იყო თითოეული ჩვენგანისათვის.

ვინ უარყოფს აგრეთვე ეროვნულ სასამართლოსა და ადმინისტრაციის მნიშვნელობას?!.

მოქალაქის პიროვნება არ შეიძლება იყოს უზრუნველყოფილი, როდესაც უცხო ენაზე ელაპარაკებიან მას მოსამართლე და ადმინისტრატორი.

საზოგადოთ, არცერთი კლასის ბედი არ გაუმჯობესდება, ვიდრე არ იქნება დაკმაყოფილებული მრავალგვარი ეროვნული მოთხოვნილება.

და იქ, სადაც მთელი ერი დაჩაგრულია პოლიტიკურათა და კულტურულათ, მუშათა ბრძოლაც შინაურ მტერთან—კაპიტალისტებთან ვერ მოიტანს შესაფერ ნაყოფს.

რა უნდა შეიძინოს მუშამ კოტორი ვაჭრისა ან მრეწველისაგან?!

მუშის კეთილდღეობას ელობება წინ უმთავრესათ ვაჭრობა-მრეწველობისა და მეურნეობის განუვითარებლობა, რომელიც არის თავისი მხრით შედეგი ეროვნული უუფლებობისა.

ვერც ქალთა საკითხი გადასწყდება, ვიდრე არ გადასწყდება ეროვნულ-პოლიტიკური საკითხი.

ამგვარათ მუშათა და ქალთა საკითხი—ნაწილია დიდი ეროვნული საკითხისა და ემორჩილება ამ უკანასკნელს.

არ ვიტყვი, რომ შეუძლებელი იყოს პროგრესი ცენტრალისტურ სახელმწიფოში.

მაგრამ კუს ნაბიჯით მიფოფხავს სწავლა-განათლება, მრეწველობა და მეურნეობა, და საშინელი იურიდიულ-ადმინისტრატიული მუხრუჭი უხუთავს ხალხს სულს.

და მხოლოდ მაშინ დაადგება ცხოვრება ნორმალური განვითარების გზას, როდესაც ხალხს აეხსნება ეს შემავიწროებელი ბორკილი, ე. ი. როდესაც თითოეული ერი მოიპოვებს ავტონომიას.

**ისარი.**

---

# კ ვ ი რ ი კ ე.

**ხვალ ჩვენს გაზეთში დაიბეჭდება...** მარა, აჰ, უკაცრავათ, ხვალ ორშაბათია, არ გამოვა გაზეთი, და სამშაბათს რაც დაიბეჭდება, იმას თქვენი პატიოსანი თვალით იხილავთ. ეს მე „განთიადმა“ შემაცთინა. ეს პროტესტების არდანი წინდაწინ აცხადებს ყოველთვის, ოდეს ეწვევა სევდა დამწველი... არა, ჰა, უკაცრავათ—სევდა დამწველი კიარა, —ოდეს მოევლინება მისი დამცველი **ნარიძის** ფელეტონი; წინდაწინ აუწყებს ხოლმე ხალხს, იმ ხალხს, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის ქვეყნის... არა, აჰ, უკაცრავათ—ქვეყნის კი არა—ღვაწლი მიუძღვის პროტესტების შეხანხვლისა და ფილიპე მახარაძის ღვაწლის... არა, აჰ, უკაცრავათ—ღვარძლის დანთესვის საქმეში...

ძალიანი კია ეს პროტესტები! „შეგნებულები“ ისეთნაირათ შეეჩვიენ ამ პროტესტებს—ზეცა რო განრისხდეს და ერთს მშვენიერ დღეს „განთიადმა“ ახალ-ამბავში მოათავსოს:—ხვალ ჩვენს გაზეთში საპროტესტო წერილები არ დაიბეჭდებაო—მტრისასა და ავისას—არც ერთი წერაკითხვის უცოდინარი შეგნებული მუშა, რომელიც ამ პროტესტებს კითხულობს და მათზე თავის საკუთარ ხელს აწერს, არც ერთი ხუთი წლის ღლაპი აღარ იყიდის ამ გაზეთს...

მომინათლავს ეს „პროტესტები“ „პოდლოგების“ სახელით... მარა, აჰ, უკაცრავათ—ღმერთმა დამიფაროს მათი ნათლიობისგან. მათს ნათლიებსა და მიროსის მცხებელთ კარგათ ვიცნობ. არ შევეცილები—უბედნიეროს და გაუზარდოს მათმა ხატმა და ჯვარმა მათი ნათლული პოდლოგ-პროტესტები და პროტესტპოდლოგები!

საჭირო იყო პროტესტები!.. საჭირო იყო ბუკი და ნაღარა, ბაირაღის აფრიალება, მობილიზაცია...

და, აი, „განთიადი“ ყოველ განთიადისას ამცნობს ქვეყანას—რა რაზმი ყავს სხვადასხვა კუნჭულში, თავს უყრის ამათ ერთ ქურქში, რომელსაც მეტ სახელათ გაზეთს ეძახიან, რომ საჭიროების დროს ერთად შეგროვილთ ჩასძახოს:—ხომ ქურქშიხართ ყველაო?.

ამოსძახებენ:—ვართ, აქა, ვართ!..

ახლა, თქვენ წარმოიდგინეთ, მიუხედავათ იმისა რომ ჩვენი ქვეყანა პატარაა, ვინ უწყის—რამდენი კუნჭულია შიგა და, სანამ ყველა ამ კუნჭულიდან არ მოვაპოდლოგ-პროტესტები, არც პროტესტპოდლოგების ბეჭდვა აიკვეცება ამ საპროტესტ-პოდლოგო არღანში...

შე კაცო, ქე რა გეწყინა! მომაწერიეს ხელი და თუ გინდა დასწერე და შენც ქე მოგიწერ... ასე ამბობენ ხშირათ, განთიადის პროტესტანტები... ოლოლე!

**კვირიკე.**

---

## ხმა ხარაგოულიდან.

**(ერთი საპროტესტო წერილის გამო.)**

„განთიადი“-ს მე-3 ნუმერში მოთავსებულია სოფ. სვირიდან საპროტესტო წერილი, რომელზეც, სხვათა შორის, ხელს აწერს მასწავლებელი მ. ჯ—ი. როგორც ეტყობა, ეს უნდა ბძანდებოდეს მოსე ჯუღელი, რომელიც ჩემთან ერთად მსახურობდა ხარაგაულის ორკლასიან სამინისტრო შკოლაში; იძულებული ვხდები ფარდა ავხადო ერთ დროს ხარაგაულში მისგან ნაბძანებს საზიზღარ სიტყვებს: 1908 წელს დაინიშნა იგი ხარაგოულის სამინისტრო შკოლის ზედამხედველათ. მასთან, როგორც ამხანაგთან, ხშირათ მქონდა ხოლმე მსვლელობა და ამა თუ იმ საგანზე ვმსჯელობდით და ვბაასობდით. ერთხელ შევედით მასთან მე და ხარაგაულის სამრევლო შკოლის გამგე (დღეს სტუდენტია) დანიელ კუპატაძე. ლაპარაკი ჩამოვარდა იმ წერილების შესახებაც, რომელიც ფ. მახარაძემ უძღვნა ილია ჭავჭავაძეს. მე და დანიელ კუპატაძე ვძრახავდით ფ. მახარაძეს უღიერი წერილების მოთავსებისთვის, მოსე ჯუღელი კი ამართლებდა და ასე დააბოლოვა თავისი სიტყვა: „ფ. მახარაძის წერილები ვისზე როგორ იმოქმედებდა ეგ არ ვიცი, პირადათ ჩემზე ისე იმოქმედა, რომ იმ პირთა შორის ყოფილიყავი, რომელთაც ილია დახვრიტეს, პირველად მე ვესროდი ტყვიას, როგორც საზიზღარ ადამიანს“-ო*).

კომინტარიები აღაარაა საჭირო. ასეთმა პირმა, რომ ფ. მახარაძეს თანაგრძნობა გამოუცხადოს, ილიას სახელის მათაყვანებელთ კი ზიზღი, განა საკვირველი იქნება? ზედმეტი არ იქნება აქვე აღვნიშნო ერთი ფაკტიც: როდესაც გაზეთებმა აუწყა ქვეყნიერობას ის საზიზღარი ამბავი, რომ ილია ნაძირალებმა გავმირესო, იმ დღეს სასადილოთ შევედი ხარაგოულის ერთ სამიკიტნოში, სადაც მარტოხელა მასწავლებლები ვსადილობდით ხოლმე. შევდგი თუ არა ფეხი დუქანში, სიხარულით მომეგება მიკიტანი ესტატე დეკანოსიძე (ეს პირი რამდენჯერმე იყო არჩეული გლეხთა კურიიდან სოც. დემოკრატების ამომრჩევლათ) და მითხრა:

გაიგე ახალი ამბავი?

— რა ამბავი?

— ის ხალხის მყვლეფელი, რომ ჩაუძაღლებიათ!

— რომელი ხალხის მყვლეფელი?

— ილია ჭავჭავაძე, რომელიც გლეხებს სისხლსა სწოვდა თურმე**).

ეს სიტყვები გულზე ტყვიასავით მომხვდა, ენა დამიდუმდა, ძალზე ავღელდი და მაშინვე ხმა ამოუღებლათ უკან გავბრუნდი, რადგან ვშიშობდი არაფერი შეურაცყოფა მიმეყენებია უდანაშაულო მიკიტნისთვის, რომელიც სრულებით არ იცნობდა ილიას (დღეს დიდი პატივის მცემელია მისი სახელის), მხოლოდ თუთიყუშვით იძახოდა იმას, რაც ფ. მახარაძისა და მისი კამპანიისაგან ქონდა ჩაძახებული. სხვა საზიზღარი ფაკტებიც ბევრი მსმენია, მაგრამ ეს ფაკტებიც ნათელს ფენს იმას, რომ ფ. მახარაძემ ისეთი უკვდავი ბოროტება ჩაიდინა, საიდანაც არამც თუ ზიზღების გამოცხადება, ზარბაზნების ქუხილიც ვერ დაიხსნის, და მისი სახელი მარად ზიზღით მოსაგონარი დარჩება ყველა პატიოსანი ქართველის გულში.

**მასწ. მიხ. დეკანოსიძე.**

---

# რ უ ს ე თ ი.

**სამართალში მიცემა.** კოსტრომაში პოლიციამ 30 ვაჭარი სამართალში მისცა. მათ ბრალდებათ დაუმოწმებელი სასწორების ხმარება. სამართალში მიცემულთა შორის არის ქალაქის მოურავი, ქალაქის საბჭოს წევრები და სხვა ცნობილი პირნი.

**ციმბირის დეპუტატი.** დეპუტატ მანკოვს მეოთხე სათათბიროს მოღვაწეობის შესახებ განზრახვა აქვს მოხსენება წაიკითხოს ციმბირის სხვადასხვა ადგილს. გუბერნატორმა განუცხადა:—ნებას დაგრთავ, უკეთუ საგანს არ გადაუხვევო.

---

# უ ც ხ ო ე თ ი.

**ბებელის დასაფლავება.** შვეიცარიაში ბებელის დასაფლავება დიდ დემონსტრაციათ გადაიქცა. ცხედარს მიყვებოდა სა-

*) ვსთხოვ დანიელ კუპატაძეს დაამოწმოს ამ სიტყვების სიმართლე. მ. დ.

**) ამავე სიტყვებით მიუმართავს მას ითხებ დეკანოსიძისთვისა და მიშა დეკდარაძისთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა


**მიღებულია:**
რკინის კოჭები შენობისთვის (Двутавровыя балки)
ნამდვილი ბახმუტის ალიბასტრი.
✦✦ იყიდება ზომიერ ფასათ ✦✦

**სავაჭრო სახლი**
# ი. გოკიელის შვილების
ქუთაისში.

| ბორჯომის წყალი | | 1 ბოთლი | 10 ბოთ. | ყუთი (ფშ.) |
|---|---|---|---|---|
| | 1/2 | 25 კ. | 2 მ. 40 კ. | 11 მ. 50 კ. |
| | 1/2 | 16½ კ. | 1 მ. 60 კ. | 15 მ. 75 კ. |
| ნარზანი და ქუნტუკი № 20 | 1/2 | 14½ კ. | 1 მ. 40 კ. | 13 მ. 50 კ. |

დეპოლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობისა და შპალერის ქ. ქუთაისში.
# ფ. ს. ფილიპოვისა.
ალექსანდრეს ქუჩაზე

მოეპოება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილებანი, ყოველნაირი საოჯახო სამკაული: ნავთის სამოვრები, ლუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, ... ტაკზე საფენი „ლინელოუმი", სამუსიკო ინსტრუმენტები (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი მეირფასი საოჯახო ნივთი, აუარებელი ასარჩევი ნიმუში, შპალერის თოფი 2 შაურიდან ვიდრე მანეთნახევრამდი ფასები ყოველი კონკურენციის გარეშე.

პატივისცემით ფ. ს. ფილიპოვი.


მასამდი დელეგაცია. გერმანიის სოც.-დემ. პარტიის სახელით პირველათ სიტყვა სთქვა მოლკენბურგმა. ორატორმა აღნიშნა მისი როლი მუშათა მოძრაობის ისტორიაში. ილაპარაკეს სხვა ორატორებმაც.

**ჩეხის ავტონომია.** ჩეხთა ავტონომიის გაუქმების გამო 4 აგვისტოს კომოტაუში ბოჰემიის დელეგატთა კრება მოხდა. კრებამ მიიღო რეზოლუცია, სადაც სწერია; რაიხსტაგში ბოჰემიის დეპუტატებმა მოითხოვონ, რომ მთავრობამ დააკმაყოფილოს ჩეხთა სამართლიანი მოთხოვნილება. რეზოლუციაში აღნიშნულია აგრეთვე ნაციონალური ავტონომია როგორც ჩეხებს, ისე გერმანელებს უნდა მიეცესთო.

**არეულობა ჩინეთში.** შანხაი და მისი ახლომახლო მიდამოები რევოლუციონერთა რაზმისაგან გაწმინდეს. რევოლუციონერები ნანკინს წავიდენ. ნანკინს ჩრდილოეთლები ყავს გარშემორტყმული. ჩრდილოეთლებს ხელმძღვანელობს ჩჯანი. ნანკინში მცხოვრებლებმა ჩჯანს უთხრეს—დაგმორჩილდებითო. ჩჯანმა ეს წინადადება უარყო. ქალაქზე იერიშის მიტანას განაგრძობს. ცნობაა—ქალაქი უკვე ჩრდილოეთელთა ხელშიაო.

**ოსმალეთის ჯარი.** ოსმალეთის ჯარი წინ მიიწევს: ჯარი მდინარე მარიცას ოთხმოცი ვერსით არის დაშორებული. ბულგარეთიდან ცნობაა, მდინარე მარიცა უკვე გადალახა ოსმალებმა და მაკედონიაში შეიჭრაო. იმუქრება ბულგარეთის ძველ საზღვარშიც შევალო, ბულგარეთში რუსის ელჩს ინსტრუქცია გაეგზავნა. დაევალა, რომ ურჩიოს ბულგარეთს, რათა ოსმალებთან შეტაკებას მოერიდოს. აზიაში მღელვარება ძლიერდება. ყველგან ომის გამოცხადებას თხოულობენ. ფრაკიაში ყოველდღიურათ 14 ათასი ჯარისკაცი იგზავნება.

**სიონისტთა კონგრესი.** 20—27 აგვისტოს ვენაში სიონისტთა მე-11 კონგრესი მოხდება. სხვადასხვა მხრის ებრაელთა შესახებ კონგრესზე წაიკითხვენ მოხსენებას. კონგრესს დაესწრებიან ყველა ქვეყნის ებრაელთა წარმომადგენლები.

## მშრომელი ხალხი.

**ბაქოს ამბები.** დეპუტატებმა სკობოლევმა და ჩხეიძემ შინაურ საქმეთა მინისტრსა და კავკასიის მეფის მოადგილეს შემდეგი შინაარსის დეპეში გაუგზავნეს: ბაქოს მუშათა მშვიდობიან ეკონომიურ გაფიცვაში პოლიცია ჩაერია. ბაქოს გრადონაჩალნიკის რაიონში გაფიცვაში მონაწილეობის მიღების გამო აპატიმრებენ მუშებს. 21—31 ივლისამდი 20 კაცი დააპატიმრეს. ზოგიერთ ადგილას პოლიციელები ეწინააღმდეგებიან მუშაობის შეჩერებასა და ძალას ატანენ, რომ იმუშაონ. ასეთი ზომების მიღებამ ნობელის წარმოების ერთ რაიონში საქმე გაამწვავა. პოლიციელები ხელს უშლიან, რომ ერთი ტომის მუშებმა მეორე ტომის მუშებთან დამოკიდებულება იქონიონ. აწერილია პოლიციელების სხვა უსამართლო მოქმედებაც. აღნიშნულია აგრეთვე, თუ პოლიციელები ამ მოქმედებით კანონის რომელ მუხლს არღვევენ. ბოლოს სთხოვენ—მიიღეთ შესაფერი ღონისძიება, რომ გაფიცვის ნორმალური მიმდინარეობა უზრუნველ იყოს. კოკორევის სამრეწველოში ცეცხლი გაჩნდა. ხმა გავრცელდა—ცეცხლი მუშებმა გააჩინაო. ეს ხმა ტყუილი გამოდგა.

## შინაარსი.


იმ საჯარო ცნობისა, რომელსაც დიმ. ჯაში კითხულობს ილია ჭავჭავაძის შესახებ.

ილიას გაცნობა.—ილია პეტერბურგში.—ილია და ფილ. მახარაძის „მოგზაური"—მგოსნისადმი საჯაროთ წამოყენებული მძიმე უსაფუძვლო ბრალდებანი.—საიდან მომზადდა ნიადაგი მგოსნის მოკვლისა? ალიაქოთი პრესაში და შეცდომა ორივე მხრიდან. საგურამოს პირველი აწიოკება და მკვლელობა მგოსნის მოურავის მოსესი და ამის ცოლის ევა მემანიშვილებისა.—ამის მიზეზით უცხოეთში წასვლის ნაცვლათ თფილისს ჩამოსვლა ილიასი და კნეინა ოლღასი.—საგურამოში წასვლამდი.—საგურამოში მისვლა.—სურათი სასახლის განადგურებისა.—რატომ იყვენ მოსე და ევა მემანიშვილების უკმაყოფილო?—მოსეს წარსული.—ილია მოსეს უნებლიე მსხვერპლი შეიქნა.—ვინაიდან მისი ტრაღიკული მკვლელობა მოსეს მოურაობაში მ-ღვაწეობამ წარმოშვა!—მგოსნის დამოკიდებულება გლეხობასთან.—„არც ერთი მარცვალი იმათი მე და არც ერთი ჩემი—იმათ"—ილიას საბედისწერო წინასწარმეტყველობა.—გაფრთხილება კნეინა ოლღასაგან.—ილია ოჯახურ ცხოვრებაში.—სიყვარული მეურნეობისადმი.—ილიაობა, 20 ივლისი.—სტუმრების მოსვლა.—მიხეილ ფილ. ჩიკვაიძე.—მწერალი არტურ ლეისტი.—ილია წინამძღვარიშვილი, გენერალი საგინაშვილის ქვრივი ელისაბედი.—თავ. ნოდარ ჯორჯაძე.—თავ. ზაალ ჭავჭავაძე.—მეფუტკრე დანიელ მასლოვი.—სტუმრემისდაშლა,—ილიასი და კნეინა ოლღას ტფილისს გამგზავრება.—თავ- ნ. დ. ერისთავი—უკანათლებულესი თავადი მიხეილ გრუზინსკი.—ჩემთან მოწერილი უსახელო მუქარის წერილი.—ილიას მოლოდინში თფილისიდან,—მკვლელნი: მეეტლე თედო ლაპაური.—მოჯამაგირე გიგოლა მოძღვრიშვილი და ამისი საეჭვო ყოფაქცევა მკვლელობის წინა დღით.—ვანო ინაშვილი.—პავლე აფციაური-ფშავლიშვილი.—ამისი მამის მოსვლა ილიას სასახლეში.—ბერბიჭაშვილი.— ხიზანაშვილი.—ილიასთანავე მოკლული სუფრაჯი (ლაქია) იაკობ ბიტერაშვილი.—მოჯამაგირეობამ და დედაკაცებმა 29 აგვისტოს 1907 წ. საღამოს წიწამურში წასვლაზე ხელი ამაღებიეს—ტრაღიკული დღე 30 მარიამობისთვეს 1907 წ.—საშინელ კატასტროფის ალაგას მისვლა.— ურიადნიკი ვასილ ემეცი.—მაშინდელი დუშეთის მაზრის უფროსის თანამდებობის ამასრულებელი თავ. ყარამან ფალავა.—საგანგებო საქმეთა სასამართლოს გამომძიებელი ნიკ. ილიაშენკო.—ჭორები და ხმები pro domo sua.—რომელი მხარეა მართ.ლი?—მკვლელობის სათუო გამოცანა.—ზოგი რამ დამახასიათებელი წვ-ილმანები, რაც საზოგადოებისათვის დღემდი დაფარულია.—ეჭვით ზოგის დატუსაღება და ზოგიერთ მათგანის გამოტეხა, ხოლო მკვლელობის სარჩული-კი დღემდი გამოურკვეველია.—რა შეეძლო გამოერკვია საერთო პირუთვნელ გამოძიებას?—დასკვნა


რედაქტორ-გამომცემელი გ. ჭელიძე.


აქციონერული საზოგადოება.
ს.-პეტერბურგის **ქიმიური ლაბორატორიისა**
იზმაილოვის პროსპ. № 27.
პარიზი 1900 ოქროს მედლებით ნიჟნ-ნოვგ.

ХИМИЧЕСКАЯ ЛАБОРАТОРІЯ С.-ПЕТЕРБУРГСКАЯ
ЗАЯВЛЕНО ДЕПАРТАМЕНТУ ТОРГОВЛИ И МАНУФАКТУРЪ

# Beaute duteint
**გლიცერინის რძე—ისრის რძე.**
საუცხოვოთ რბილებს, აჩვილებს და ახავერდებს კანს.
იყიდება ყველა კავკასიის სააფთიაქო მაღაზიასა და აფთიაქში.



## ახალი გამოგონება მეცნიერებაში
ერთადერთი სახმარებელი ვენახის აქიმობისათვის და მცენარეთა დასაცავათ სოკოების ავათმყოფობისაგან და მწერთაგან
# ახალი სითხე ქაკმენის ᲠᲠ
უმთავრესი წარმომადგენელი მთელი რუსეთისათვის **კანტორა კლო ჟღურული ქუთაისში** საწყობი და ნარდი გაყიდვა **ი. გოკიელოვის შვილების სავაჭრო სახლში ქუთაისში.**

**საუკეთესო საკვები ცხენებისათვის და საქონლისათვის.**
# „პატოკსან".
„პატოკსან" შეიცავს 42 პროც. შაქარს (სრულიად რუსეთის შაქრის მრეწველთა ლაბორატორიის ანალიზი № 640.
„პატოკსან" საუკეთესო საშუალებაა საქონლის ღონის შერჩენისათვის და შემატებისათვის (მოხსენება აქ. იოტეიკოსი ლიეჟის შაქრის მრეწველთა კონგრესზე).
„პატოკსან" ხელს უწყობს საქონელს და ცხენებს საჭმლის მონელებაში, რაც თავის რიგათ ეხმარება შრომის უნარისა და სიცოცხლის უნარის შემატებას,
„პატოკსან" ხელს უწყობს რომ რძის მომცემ საქონელს რძე გაუუმჯობესოს და დღიური ნაწველიც გაადიდოს.
„პატოკსან" თავის ნოყიერების გამო ძალიან მარგებელია და ეკონომიური საჭმელი.
ვინც მოისურვებს გაეგზავნება ერთი ფუთი 1 მ. 20 კ. გაგზავნის ფასს ვიხდით ჩვენ. გაგზავნის დროს ყოველგვარი ცნობა და მომხმარებლების აზრი უფასოთ იგზავნება ამიერ კავკასიისათვის.
ერთადერთი წარმომადგენელი ამიერ კავკასიისათვის **„გეორგი რუსინოვ და ამხ."** თფილისში ვერის დაღმართი № 12 ტელეფონი 11—37 და 11—77. დეპეშით მისამართი: „რუსინოვს თფილისში".


## რკინის გზა

**ქუთაისიდან მიდის.**

**თფილისს:** სახალხო 5 ს. 10 წ. დ.; სახ 10 ს. 6 წ. დ.; ფოშტ. 11 ს. 55 წ. დ.; სახ. 11 ს. 27 წ. ღ.

**ბათომს:** სახ. 5 ს. 10 წ. დ.; სახ. 7 ს. 5 წ. საღ.; სახ. 11 ს. 27 წ. ღ.; ფოშტ. 5 ს. 21 წ. დ.

**ფოთს:** საავარაკო 4 ს. 22 წ. დ.; სახალ. 5 ს. 10 წ. დ.; ფოშტ. 5 ს. 21 წ. საღ.; სახ. 7 ს. 56 წ. საღ.

**შორაპანს:** საავარ. 4 ს. 57 წ. დღ.

**ტყიბულს:** სახ. 7 ს. 50 წ. დილ.; სახ. 3 ს. 45 წ. დღ.

**ქუთაისს მოდის.**

**თფილისიდან:** სახ. 7 ს. დილ.; სახ. 8 ს. 26 წ. საღ.; ფოშტ. 6 ს. 56 წ. საღ.; სახ. 1 ს. 26 წ. ღამით.

**ბათომიდგან:** ფოშტ. 1 ს. 20 წ. დღ.; სახ. 11 ს. 14 წ. დ.; სახ. 1 ს. 26 წ. ღ.; სახ. 7 საათ. დილ.

**ფოთიდან:** საავ. 10 ს. 3 წ. დილ.; სახ. 1 ს. 20 წ. დ.; სახ. 1 ს. 26 წ.

**შორაპნიდან:** საავ. 9 ს. 31 წ. დილ.

**ტყიბულიდან:** სახ. 5 ს. 11 წ. დღ. სახ. 1 საათ. 9 წ. დილ.


ქ. ქუთაისში (სობოროსთან
# ა. თაბაგარის მაღაზიაში
20 ივლისიდან დანიშნულია
# დიდი იაფი ვაჭრობა
ველოსიპედების და სხვ.



ამასთანავე მიღებულია დიდძალი საკერი, საქსოვი და საწერი მაშინები გრამაფონები და მათი მოწყობილობა.
ფასები ძლიერ დაკლებულია



ხრესილი.
# სამკურნალო აბანო
მეირფასი მთის აერზე
ძმ. ყორყოლაძეების
ექიმის ჩვეულება იხილეთ და დარიგებები.

შემოწმებულია და გამოირკვა, რომ ეს მადნეული წყალი კურნავს სხვადასხვა სენისაგან, როგორც არის: ქარები (რევმატიზმი) კუჭისა და თავის ტკივილი, ნერვების სისუსტე და სხვ. წყალი ცივი და თფილიც. აქვეა სუფთა ბინა და სასმელსაჭმელი, აბანო მუდმივ განაგრძობს მუშაობას. ხრესილის სადგურიდან დაშორებულია ორმოცდაათი საჟენის მანძილზე.



# გ. გორდაძის და ს. წერეთლის
ერთადერთი წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიაში, ბათომის და სოხუმის ოლქში უმაღლესი სასახლის გოფმეისტერის, იური სტეფანეს ძის ნეჩაევ-მალცევის ბემსკის მინის ქარხნისა, მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება მინის ყუთზე ნიშანს „БЕМСКО...
## რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:
საუკეთესო
ქარხნებისგან
**მიღებული რკინეული**
საქონელი: კარის, ფანჯრის
და ღუმელის მოწყობილობანი;
სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის
მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი სალებავი წამალი,
ელექტრონის ზარის მოწყობილებანი, შპალიერი,
ცემენტი, ემალიანი ჭურჭლები, ასფალტი და სხ.
**ვაჭრობა პარტიითა და წვრილათ ხელმისაწდომ ფასათ.**
ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხეილის ქუჩაზე № 65.